

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭაყაიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 26 “ 12 “ 2014 წელი

ეგზ. № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
2012-2013 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში *აღ 47/00*

2014 წელი

სარჩევი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	4
აუდიტის მიზანი.....	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა	5
ბიუჯეტები.....	6
მასშტაბის შეზღუდვა.....	10
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	10
ბიუჯეტის შემოსავლები.....	10
შპს „ოზურგეთის სავაჭრო ცენტრი“	10
იჯარით გაცემული ფართობები	11
დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება	12
საპროცენტო შემოსავლები	13
ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები.....	14
სასპორტო სკოლა.....	15
სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება.....	16
სახელმწიფო შესყიდვების გვერდის ავლით განხორციელებული შესყიდვები	17
საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების შესრულება.....	18
შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.....	19
იჯარით აღებულ მანქანა-დანადგარების ხარჯზე გეგმიური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯების დარიცხვა	22
ქვეკონტრაქტორისათვის ანაზღაურებული ხარჯები.....	23
სოციალური დახმარებები	25
საკრებულოს დეპუტატების ანაზღაურება.....	26
შესყიდვის პროცესის ნაკლოვანებები.....	26
მაღალი ფასით შესყიდული საქონელი და მომსახურება	28
ზედმეტად გადახდილი თანხები	32

აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტი	32
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	33
შსს-ს ადგილობრივ ორგანოებზე გაწეული ხარჯი	33
საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა	33
შპს „ოქტან-მედეა“ (დაბა ურეკის ბულვარის მშენებლობა).....	34
ასფალტობეტონის მეორეული მასალის გამოუყენებლობა	34
საწარმოების სუბსიდიით დაფინანსება	35
➤ მუნიციპალიტეტის შპს-ების დაფინანსება	35
➤ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების დაფინანსება	36
საკადრო პოლიტიკა	36
ა(ა)იპ - „მომავლის სხივის“ დაფინანსება	37
საწვავის ხარჯი.....	37
ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენა	38
აუდიტის დასკვნა	38
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	39
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	39

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია:

✓ აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.

✓ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების ეკონომიურობის და მართლზომიერების შეფასება.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც, მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის¹, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

¹ აღნიშნული კანონი მოქმედებდა აუდიტის პერიოდში, ხოლო ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 2013 წლის მონაცემებით, შეადგენს 84,1 ათას კაცს. შესამოწმებელ პერიოდში² ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აერთიანებდა 29 ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც მოიცავდა ქალაქ ოზურგეთს, 4 დაბასა და 24 სოფელს³.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით, წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა.

ბიუჯეტები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 44108,3 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 39338,5 ათასი ლარი.

² 2014 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნა 2 დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი ქალაქის - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემის - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

³ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალური გვერდი

(ათასი ლარი)

დასახელება	2012	2013	ჯამი
შემოსულობები	17297,1	26811,21	44108,31
შემოსავლები	17086,1	26749,21	43835,31
არაფინანსური აქტივების კლება	211	62	273
გადასახდელები	17245,1	22093,368	39338,47
ხარჯები	11285,1	14848,408	26133,508
არაფინანსური აქტივების ზრდა	5960	7244,96	13204,96
ნაშთის ცვლილება	52	4717,842	4769,842


➤ შემოსულობები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების შესაბამისად, 2012-2013 წლებში შემოსულობების 99,4 % მოიცავს შემოსავლებს, ხოლო 0,6 % - არაფინანსური აქტივების კლებას.

შემოსულობები 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, გაზრდილია 9514,1 ათასი ლარით.

2012-2013 წწ. შემოსულობების დინამიკა

(ათასი ლარი)



2013 წელს შემოსულობების ზრდა მეტწილად განპირობებულია სპეციალური ტრანსფერების მაჩვენებლის ზრდით, რაც ძირითადად გახარჯულია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებსა და სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

➤ გადასახდელები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების თანახმად, 2012-2013 წლებში გადასახდელების 66,4% მოიცავს ხარჯებს, არაფინანსური აქტივების ზრდა - 33,6%-ს.


2012 წელთან შედარებით, გადასახდელები 2013 წელს გაზრდილია 4848,3 ათასი ლარით, რაც ძირითადად განპირობებულია ხარჯების ზრდით.

ხარჯები

ხარჯები 2013 წელს გაზრდილია 3563,3 ათასი ლარით⁴ (24 %). ხარჯების ცვლილება განაპირობა „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მაჩვენებლის ზრდამ, რაც ძირითადად გამოწვეულია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე გაწეული ხარჯებით.

ხარჯების დინამიკა

(ათასი ლარი)




➤ ფულადი სახსრების ნაშთები

მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთები 2013 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 409,6 ათას ლარს, ხოლო 2013 წლის ბოლოს ფულადი სახსრების ნაშთმა შეადგინა 5 127,4 ათას ლარი.

⁴ ხარჯები: 2012 წელი - 11285,1 ათასი ლარი, 2013 წელი -14848,41 ათასი ლარი.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოდგენილია 2012-2013 წლების ჯამური მაჩვენებლით.



2012-2013 წლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, გადასახდელების მეტი წილი მოდის ეკონომიკურ საქმიანობაზე - 39% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე, რომლის ხვედრითი წილი შეადგენს - 20%-ს, რაც ძირითადად მოიცავს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფას.

მასშტაბის შეზღუდვა

აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა შესწავლილი 2012 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სამუშაოების კანონიერება, ვინაიდან აღნიშნული პროგრამით შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 2013 წლის 22 თებერვალს ამოღებულ იქნა ოზურგეთის რაიონული პროკურატურის მიერ.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ბიუჯეტის შემოსავლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერებისა და საკუთარი შემოსავლებისგან. ბიუჯეტის შემოსავლებში ძირითადი წილი უჭირავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებს. ოზურგეთის საკუთარი შემოსავლების ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ფაქტი, რომლის გათვალისწინებისა და სწორი მართვის შემთხვევაში, შესაძლებელია ადგილობრივ ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდოს ოზურგეთის საკუთარი შემოსავლების წილი მთლიანად მიღებულ შემოსავლებში.

შპს „ოზურგეთის სავაჭრო ცენტრი“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს საკუთრების 100%-იანი წილით დაფუძნებული აქვს შპს „ოზურგეთის სავაჭრო ცენტრი“. აღნიშნული შპს-ის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ქ. ოზურგეთში არსებული ბაზრის მართვა, რომლის ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 4778 კვ.მ-ს. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით „სავაჭრო ცენტრს“ 2012-2013 წლებში განხორციელებული ერთობლივი საქმიანობიდან მიღებული აქვს 120.6 ათასი ლარი. გარდა საკუთარი შემოსავლებისა, „სავაჭრო ცენტრს“ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, სავაჭრო ფართობების მოსაწყობად მიღებული აქვს 6.4 ათასი ლარი. მიუხედავად მიღებული შემოსავლებისა,

შპს „ოზურგეთის სავაჭრო ცენტრს“ ფინანსური შედეგის სახით 2012-2013 წლები დამთავრებული აქვს ზარალით, რაც ძირითადად გამოწვეულია „ოზურგეთის სავაჭრო ცენტრის“ ადმინისტრაციული ხარჯების სიდიდით (შემოსავლების 83% გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე).

შპს „ოზურგეთის სავაჭრო ცენტრის“ ფინანსური წლის ზარალით დამთავრება მიუთითებს, რომ შპს-ის მართვა არასწორად ხორციელდება და მუნიციპალიტეტს მისი საქმიანობა არ აქვს შესწავლილი. არსებობს ალბათობა იმისა, რომ სწორი მენეჯმენტის პირობებში შპს-ის საქმიანობა იქნებოდა მომგებიანი, რაც ზოგადად ბაზრის სპეციფიკის მახასიათებელია. უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის ტერიტორიის სასყიდლიანი იჯარის სახით, მხოლოდ მიწის ნორმატიული ფასით გაცემის შემთხვევაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, წლიურად მიიღებდა მინიმუმ 28.6 ათას ლარს, ხოლო ბაზრის ტერიტორიისა და მასზე არსებული ნაგებობების მართვის უფლებით გაცემის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი სავარაუდოდ გაცილებით მეტ შემოსავალს მიიღებდა.

იჯარით გაცემული ფართობები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 წლებში სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) გაცემულია 18 ფართობი (მათ შორის, ერთი გაცემულია აუქციონის ფორმით, ხოლო 17 ფართობი - პირდაპირი განკარგვის წესით). იჯარით გაცემული შენობა-ნაგებობების საიჯარო ღირებულების განსაზღვრისას გათვალისწინებულია მათი საბალანსო ღირებულება, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის საიჯარო ქირა განსაზღვრულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული ფასების გათვალისწინებით, რომელიც ქალაქის ზონების მიხედვით, წლიურად 1 კვ. მ-ის ღირებულება 1.7 – 6 ლარამდე⁵ შეადგენს. კერძოდ, 2006 წელს ი/მ „დავით კვაჭანტირაძეს“ ქალაქის ტერიტორიაზე ავტომობილების პარკინგისათვის, იჯარით აღებული აქვს 1082 კვ.მ ფართობი, წლიური ღირებულება 1 კვ.მ-ზე შეადგენს - 2.8 ლარს.

⁵ საიჯარო ფასები ნორმატიულ ფასს აღემატება მხოლოდ 2 შემთხვევაში: შპს „ოზურგეთის სამგზავრო ავტოსადგური“ 1 კვ.მ- 12 ლარი და შპს „ბიბლუსი“ - 1 კვ.მ - 18 ლარი.

ი/მ „დავით კვაჭანტირაძესთან“ გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს, საიჯარო ფასის ცვლილებას ნორმატიული ფასის ცვლილების შემთხვევაში, მაგრამ, მიუხედავად ნორმატიული ფასის ცვლილებისა საიჯარო ქირა არ შეცვლილა.

არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ აქტივების საბალანსო და ნორმატიული ღირებულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება (ნაკლებია) საბაზრო ღირებულებისაგან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემისას გამოიყენოს აუქციონის ფორმა, რაც გაზრდის საიჯარო ფართობის მიღების მსურველთა რაოდენობასა და კონკურენციას. შედეგად, გაიზრდება იმის შესაძლებლობა, რომ ფართობების საიჯარო ღირებულება გაუთანაბრდეს მათ საბაზრო ღირებულებას, რაც გაზრდის იჯარის სახით მისაღებ შემოსავლებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება კონტროლი საიჯარო ქირის ამოღების პროცედურებზე, რის გამოც მუნიციპალიტეტში არ ფლობენ ინფორმაციას წლის განმავლობაში მისაღებ საიჯარო შემოსავლებზე, კონკრეტული პერიოდისათვის არსებულ საიჯარო დავალიანებებსა და მოიჯარეების მიერ განხორციელებულ გადახდებზე.

სულ, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადაუხდელი საიჯარო ქირის თანხამ შეადგინა - 20.9 ათასი ლარი, ხოლო 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 28.1 ათასი ლარი.

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება

2012-2013 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას (ამოღება) ახორციელებდა ა(ა)იპ „ოზურგეთის სერვისცენტრი“. დასუფთავების მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ შეადგინა: 2012 წელს - 114.7 ათასი ლარი, 2013 წელს - 121.3 ათასი ლარი.

დასუფთავების მოსაკრებლის სტაბილური გადამხდელები არიან ქალაქის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული პირები, რომელთა წილი მიღებულ საერთო თანხაში 2012-2013 წლებში შეადგენს - 94 %-ს.

აღსანიშნავია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არ ფლობენ ინფორმაციას, დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღებ შემოსავალზე. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბიუჯეტით პროგნოზირებული დასუფთავების მოსაკრებელი განსაზღვრულია წინა წლებში მიღებული თანხის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა შესაძლებელია სუბიექტური იყოს და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ რეალურად მისაღებ სარგებელთან შედარებით, რომლის ამოღებაც შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გადამხდელი იურიდიული და ფიზიკური პირების სრულად აღრიცხვისა და მათზე დაყრდნობით შემოსავლების პროგნოზირების შემთხვევაში.

საპროცენტო შემოსავლები

2009 წლის 12 მარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტისათვის საბანკო მომსახურებას. ხელშეკრულების თანახმად, მუნიციპალიტეტს სარგებლის სახით ერიცხებოდა მის ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, რომელიც შეადგენდა წლიურად:

ცხრილი 1: საპროცენტო შემოსავალი

თავისუფალი ნაშთი	საპროცენტო სარგებელი
2000.0 ათას ლარამდე	16%
2000.0-3500.0 ათას ლარამდე	18%
3500.0 ათას ლარზე მეტი	22%

2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ საპროცენტო სარგებლის სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 225.0⁶ ათასი ლარი.

2013 წლის 1 ოქტომბრიდან სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიამ“ თავისუფალ ნაშთზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი შეამცირა 10%-მდე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტი ავტომატურად დათანხმდა ყოველგვარი განხილვის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მოპოვებული სარწმუნო მტკიცებულებები იმის შესახებ, განახორციელა თუ არა მუნიციპალიტეტმა საბანკო სექტორის ბაზრის კვლევა იმის დასადგენად, რამდენად შეესაბამებოდა დაწესებული განაკვეთი სხვა ბანკების მიერ დაწესებულ საპროცენტო განაკვეთებს. ამასთანავე, მუნიციპალიტეტს ხელშეკრულების პირობების მიხედვით შეეძლო შეეწყვიტა ხელშეკრულების მოქმედება, რაც არ განუხორციელებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ალბათობა იმისა, რომ ბაზრის შესწავლისა და სხვა ალტერნატიული გზების მოპოვებით შესაძლებელი იქნებოდა უკეთესი პირობების მოძიება და მნიშვნელოვნად გაეზარდა მისაღები საპროცენტო სარგებლი.

ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მატერიალური და არამატერიალური ქონების ეკონომიურად და მიზნობრივად გამოყენება. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მისი მიზანია, თვითმმართველობის საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების პროცესში უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აუდიტის შედეგად გამოვლენილ იქნა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სავარაუდოდ შესაძლებელი იყო რესურსების უფრო რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენება.

⁶ 2012 წელს - 126.2 ათასი ლარი, 2013 წელს - 98.8 ათასი ლარი.

სასპორტო სკოლა

2012 წლის 9 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „ოქტან-მედეას“ შორის გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 220.0 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ოზურგეთში სასპორტო სკოლის კაპიტალურ შეკეთებას.

სამუშაოების მიმდინარეობისას, 2012 წლის 30 აგვისტოს, შესაბამისი დასაბუთების გარეშე, მხარეებს შორის სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, ხარჯთაღრიცხვაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით შეიცვალა შესასრულებელი სამუშაოების სახეობები. კერძოდ, ხარჯთაღრიცხვიდან ამოღებულია;

- საჭიდაო დარბაზში ლითონის კონსტრუქციების შემოსვა კარვოლინით, სიმაღლით - 1.2 მ-ზე, მოცულობით - 32.8 კვ.მ-ზე.
- პირველ და მეორე სართულზე კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით და სხვ.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ცვლილება განხორციელდა იმის გამო, რომ შენობა იყო ამორტიზებული და შიდა კედლებზე შელესვა მოკლე დროში ვერ მოხერხდებოდა, ხოლო სამუშაოები უნდა დასრულებულიყო კონკრეტული თარიღისათვის.

ამოღებული სამუშაოების ნაცვლად, ლითონის კონსტრუქციებსა და კედლებზე გაიკრა თაბაშირ-მუყაოს ფილები.

შესრულებულ სამუშაოებზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2012 წლის 28 სექტემბერს, ხოლო ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული სამუშაოების შემდგომი ცვლილებები საბოლოო ხარჯთაღრიცხვაში ასახულია 2012 წლის 2 ოქტომბერს, ანუ სამუშაოების დასრულებიდან ხუთი დღის შემდეგ.

აუდიტის ჯგუფის წევრებისა და მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის მიერ სასპორტო სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ საჭიდაო დარბაზში თაბაშირ-მუყაოს ფილები დაზიანებულია (სავარაუდოდ აღნიშნული მასალა შეუთავსებელი აღმოჩნდა სკოლის სპეციფიკასთან), ხოლო სახურავიდან ჩამოსულმა

წყალმა, დააზიანა შენობაში დამონტაჟებული „ამსტრონგის ჭერი“. შედეგად, არსებობს რისკი, რომ გადახურვის სამუშაოები უხარისხოდ იყო შესრულებული. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ოქტან-მედეას“ ობიექტის საბოლოო ჩაბარებისას ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის უნდა წარედგინა ექსპერტიზის დასკვნა⁷ შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, რაც არ განხორციელებულა. გარდა აღნიშნულისა, იმავე ხელშეკრულების მიხედვით, რეაბილიტირებულ ობიექტზე სამი წლის განმავლობაში დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, მისი აღმოფხვრის ვალდებულება ეკისრება მომწოდებელს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ საგარანტიო მოთხოვნის შესაძლებლობა დღემდე არ არის გამოყენებული და დღეის მდგომარეობით სპორტული დარბაზი კვლავ სარემონტოა.

სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება

2012-2013 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 5805.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ ზარალი აღრიცხულია არასათანადო გაანგარიშებების საფუძველზე. შედეგად, 2013 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხებით შესრულებულია ისეთი ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენილ სარეაბილიტაციო ობიექტთა ნუსხაში, საერთო ღირებულებით 645.8 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ობიექტები დაზიანებულია სტიქიის შედეგად, მაგრამ სრული აღრიცხვა ვერ მოხერხდა რიგი მიზეზების გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სარეაბილიტაციო ობიექტების აღრიცხვა და ზარალის გაანგარიშება განხორციელდეს მიყენებული ზიანის საფუძველიანი შესწავლისა და დოკუმენტურად დასაბუთებული გამოთვლების

⁷ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა

საფუძველზე, ვინაიდან არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები გახარჯულ იქნეს არადანიშნულებისამებრ.

ზემოაღნიშნულს ასევე ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2013 წლის მარტში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოიყო 450.0 ათასი ლარი. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის მოკლე ვადებში აღმოსაფხვრელად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულებით⁸, მუნიციპალიტეტის გამგეობას ნება დაერთო სარეაბილიტაციო სამუშაოები განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის ფორმით. მიუხედავად სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში ჩატარების აუცილებლობისა, დაზარალებული მოსახლეობის დახმარება (ძირითადად სახლების გადახურვა) მათი მომართვიანობის შესაბამისად ხორციელდებოდა 2013 წლის მარტიდან - 2014 წლის ივლისამდე, ანუ ერთი წელი და 4 თვე, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი სამშენებლო მასალებიდან, დღეის მდგომარეობით, ნაშთად ირიცხება 0.9 ათასი ლარის მასალები. ვინაიდან დახმარების პერიოდი არაგონივრულად გახანგრძლივდა, არსებობს რისკი იმისა, რომ დახმარება გაეწია ისეთ პირებს, რომლებიც არ იყვნენ სტიქიის შედეგად დაზარალებულები.

სახელმწიფო შესყიდვების გვერდის ავლით განხორციელებული შესყიდვები

2012 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნათა გვერდის ავლით განახორციელა სხვადასხვა საქონლისა და სამუშაოების შესყიდვა, საერთო ღირებულებით 71.8 ათასი ლარი. შეძენილი საქონელი არ იყო ასახული ორგანიზაციის შესყიდვების წლიურ გეგმაში და არც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიეწოდა ანგარიში განხორციელებული შესყიდვების შესახებ. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ არ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული შესყიდვის პროცესის ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და მონეტარული ზღვრების დაცვა. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა სარწმუნო მტკიცებულებები გაწეული ხარჯის მიზნობრიობის

⁸ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 მარტის № 27 განკარგულება.

შესახებ. შესაბამისად ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას ხარჯის გაწევისას რამდენად არის გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ინტერესები.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების შესრულება

2012-2013 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებულია 358 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით - 8723.5 ათასი ლარი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების⁹ მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს:

- მომწოდებელთან ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.
- სამუშაოების შესრულებისას იჯარით აყვანილ მანქანა-მექანიზმების საიჯარო ხარჯს არ უნდა დაერიცხოს გეგმური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯები.
- ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში.

2012 წლის 1 ივლისის შემდგომ გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ხარჯები ანაზღაურებულია ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. 2013 წელს გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებული ხელშეკრულებებით (20 შემთხვევაში), სამუშაოს შემსრულებლებს ეკისრებოდათ ვალდებულება, რომ ნებისმიერი საქონლის შეძენის დოკუმენტაცია წარედგინათ შემსყიდველისათვის. მიუხედავად აღნიშნული მოთხოვნისა, სამუშაოს შემსრულებლებთან მუნიციპალიტეტმა ანგარიშსწორება განახორციელა ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე,

⁹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

მხოლოდ წარმოდგენილი ფორმა №2-ის მონაცემებისა და ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯების, შესრულებულ სამუშაოებთან შესაბამისობის დასადგენად აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით, სამუშაოების შემსრულებლებმა, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (არასრულად) აუდიტის მიმდინარეობისას წარუდგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტს. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზით გამოვლენილია შემდეგი გარემოებები:

შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება

შპს „ე.ე.ე.“

2012 წლის აგვისტოში ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „ე.ე.ე.“-ს შორის გაფორმებულია ექვსი ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 548.8 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებას. აღსანიშნავია, რომ შპს „ე.ე.ე.“-ს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებული სამუშაოების დაწყებამდე არ გააჩნდა მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება. მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა საკმარისი და შესაფერისი მტიცებულებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა კრიტერიუმებით იქნა შერჩეული აღნიშნული შემსრულებელი.

მიუხედავად გამოუცდლობისა, მუნიციპალიტეტმა შპს „ე.ე.ე.“-სთან გააფორმა 2 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის ფორმით, ხოლო 4 ხელშეკრულება გაფორმებულია პირდაპირი შესყიდვით (თანხები გამოყოფილია პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან)¹⁰. გამარტივებული შესყიდვით შესრულებული სამუშაოების ღირებულება - 248.1 ათასი ლარი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულია ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

¹⁰ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით განხორციელებულ შესყიდვაზე არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მოქმედება.

2012 წლის 14 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება №309, რომელიც ითვალისწინებდა, დვაბზუ-მელექედურის გზის მოხრეშვითი სამუშაოების შესრულებას, ღირებულებით 145.1 ათასი ლარი. შპს „ე.ე.ე.“-ის ხელმძღვანელის განმარტებით, სამუშაოების მიმდინარეობისას შპს „ე.ე.ე.“ განკარგავდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში იჯარით აღებულ კარიერს, საიდანაც იღებდა მოხრეშვისათვის გამოყენებულ ინერტულ მასალებს. შპს „ე.ე.ე.“-ის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით 1 კუბ.მ ღორღის ფასი შეადგენდა - 9.3 ლარს, ხოლო 15-20 კმ-ზე ტრანსპორტირების ღირებულება - 4.45 ლარს. წარმოდგენილი ფორმა №2-ის მიხედვით, მასალის ღირებულება შეადგენდა - 12 ლარს, ხოლო ტრანსპორტირება - 16.8 ლარს. შპს „ე.ე.ე.“-სმა გზის მოსახრეშად გამოიყენა 2400 კუბ.მ ღორღი. სხვაობა კალკულაციით განსაზღვრულ ფასსა და ფორმა №2-ით წარმოდგენილ შორის შეადგენს - 50.6 ათას ლარს. გარდა აღნიშნულისა, ფორმა №2-ის მიხედვით, გზის მორწყვით სამუშაოებზე გახარჯულია 10.2 ათასი ლარი, რაც მოიცავდა ასევე წყლის ღირებულებას. სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით მოსარწყავი მანქანის იჯარაზე გაცემულია 0.4 ათასი ლარი, ხოლო წყალი აღებულია უფასოდ, მდინარე ნატანებიდან. აღნიშნულ სამუშაოებზე ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

მიმწოდებელს სამუშაოების შესასრულებლად დაქირავებული ჰყავდა მანქანა-მექანიზმები, რომლთა საიჯარო ღირებულება (შპს „ე.ე.ე.“-ის დირექტორის განმარტებით) შეადგენდა 52.5 ათას ლარს, ხოლო შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მანქანა-მექანიზმების საიჯარო თანხაზე დარიცხულია გეგმური დაგროვება (8%) და ზედნადები ხარჯები (10%), ჯამურად შეადგენს 11.1 ათას ლარს.

ზემოაღნიშნულის შედეგად, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს №309 ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოების ფარგლებში, შპს „ე.ე.ე.“-ისათვის დაუსაბუთებლად გადახდილი აქვს 71.9¹¹ ათასი ლარი.

¹¹ თანხები გაანგარიშებულია ზედნადები ხარჯების, გეგმური დაგროვებისა და დღგ-ს გათვალისწინებით.

შპს „გზამშენი 18“

2013 წლის 12 ნოემბრის ხელშეკრულებით (გამარტივებული შესყიდვა) შპს „გზამშენ 18“-ს შესრულებული აქვს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში, ოქროს მუხურო-მაკვანეთის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით 59.3 ათასი ლარი. სამუშაოს შესრულებაზე გამოყენებულია 500 კუბ.მ ფრაქციული ღორღი, შეძენის ღირებულებით 1 კუბ.მ - 11 ლარი. შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა №2) მიხედვით, 1 კუბ.მ ღორღის ფასი ტრანსპორტირების გათვალისწინებით, შეადგენს - 22.75 ლარს. ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით, ღორღის შესყიდვისა და ფორმა №2-ში დაფიქსირებულ ფასებს შორის არსებული სხვაობა ვერ იქნა დასაბუთებული. სხვა შემსრულებლების მიერ წარმოდგენილი ინერტული მასალების გადაზიდვის ხელშეკრულებების მონაცემებით, 1 კუბ.მ ინერტული მასალის გადაზიდვის ღირებულება 15-20 კმ-ზე შეადგენს 4-5 ლარს. არსებული ფასების გათვალისწინების შემთხვევაში, 1 კუბ.მ ღორღის მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 16 ლარს, ხოლო დარჩენილი ფასთა სხვაობა 6.75 ლარი, ვერ იქნა დასაბუთებული, როგორც მუნიციპალიტეტის აგრეთვე შემსრულებლის მხრიდან. შედეგად წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, არსებული სხვაობა 4.6 ათასი ლარი¹², მუნიციპალიტეტის მიერ სავარაუდოდ ზედმეტადაა გადახდილი.

შპს „ოქტან-მედია“

2012 წლის 9 აგვისტოს №293 ხელშეკრულების ფარგლებში, სასპორტო სკოლის შენობის სახურავი გამოცვლილია მეტალოკრამიტის მასალით (სულ 533 კვ.მ), რომლის 1 კვ. მ-ის ღირებულება წარმოდგენილი ფორმა №2-ით შეადგენს 21.5 ლარს, ხოლო შესყიდვის დოკუმენტით, 1 კვ.მ მასალაზე გადახდილია 13 ლარი. შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ მომწოდებელზე დასაბუთების გარეშე გადახდილია 7.6 ათასი ლარი.

¹² 22.75-16=6.75 ლარი *500კუბ.მ=3375 ლარი.

იჯარით აღებულ მანქანა-დანადგარების ხარჯზე გეგმიური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯების დარიცხვა

2013 წელს შპს „ოზურგეთის საგზაო სამმართველოს“ №404 ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული აქვს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, ლიხაურის თემის შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 61.8 ათასი ლარი და №405 ხელშეკრულებით, ჭიანეთის თემში შიდა გზების აღდგენითი სამუშაოები, ღირებულებით - 54.4 ათასი ლარი. სამუშაოების შესრულებისას შპს „ოზურგეთის საგზაო სამმართველოს“ გამოყენებული აქვს იჯარით აყვანილი მანქანა-მექანიზმები, საიჯარო ღირებულებით - 18.8 ათასი ლარი. მანქანა-მექანიზმებზე გაწეული საიჯარო ხარჯი შემსრულებლის მიერ გათვალისწინებულია სამუშაოს შესრულების აქტში, რაზეც დარიცხულია გეგმური დაგროვება (7%) და ზედნადები ხარჯი (8%), სულ - 2.8 ათასი ლარი.

2013 წელს ი/მ „რევაზ ფუტკარაძეს“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ექვსი ხელშეკრულების საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში შესრულებული აქვს შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, საერთო ღირებულებით - 152.6 ათასი ლარი. სამუშაოების შესრულებისას ი/მ „რევაზ ფუტკარაძეს“ გამოყენებული აქვს იჯარით აყვანილი მანქანა-მექანიზმები, საიჯარო ღირებულებით - 18.8 ათასი ლარი. მანქანა-მექანიზმებზე გაწეული საიჯარო ხარჯი შემსრულებლის მიერ გათვალისწინებულია სამუშაოს შესრულების აქტში, რაზეც დარიცხულია გეგმური დაგროვება (7%) და ზედნადები ხარჯი (8%), სულ - 2.8 ათასი ლარი.

2012 წელს შპს „ე.ე.ე.“-ს ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული №288 ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული აქვს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა გზების სარეაბილიტაციო (მოხრეშვა) სამუშაოები, ღირებულებით - 103.0 ათასი ლარი. სამუშაოების შესრულებისას შპს „ე.ე.ე.“-ს გამოყენებული აქვს იჯარით აყვანილი მანქანა-მექანიზმები, საიჯარო ღირებულებით - 39.5 ათასი ლარი. მანქანა-მექანიზმებზე გაწეული საიჯარო ხარჯი შემსრულებლის მიერ

გათვალისწინებულია სამუშაოს შესრულების აქტში, რაზეც დარიცხულია გეგმური დაგროვება (6%) და ზედნადები ხარჯი (5%), სულ - 5.1 ათასი ლარი.

ქვეკონტრაქტორისათვის ანაზღაურებული ხარჯები

2012 წლის 15 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „მარჯინს“ შორის გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, ღირებულებით - 820.0 ათასი ლარი, რაც მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულია ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. აღნიშნული სამუშაო შპს „მარჯინს“ დაკვეთით შესრულებული აქვს შპს „ნიუ ვეივის“, როგორც ქვეკონტრაქტორს, ღირებულებით 555.7 ათასი ლარი (დარიცხვების გარეშე).

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შპს „ნიუ ვეივის“ სამუშაოს ღირებულებაზე, გეგმური დაგროვებისა (8%) და ზედნადები ხარჯების (10%) სახით დარიცხული აქვს 104.5 ათასი ლარი, ხოლო დღგ-ს თანხამ შეადგინა 118.8 ათასი ლარი. დარიცხული თანხების გათვალისწინებით, ქვეკონტრაქტორის მიერ მიღებულმა საერთო თანხამ შეადგინა - 779.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს 820.0 ათასი ლარის ნაცვლად, შემსრულებლისათვის ფაქტობრივი ხარჯის დოკუმენტების საფუძველზე უნდა აენაზღაურებინა 779.0 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნულის შედეგად, შპს „მარჯინთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯი 41.0 ათასი ლარი სავარაუდოდ ანაზღაურებულია ზედმეტად.

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მიმართა იმ სამუშაოს შემსრულებლებს, რომელთაც არ ჰქონდათ წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მოთხოვნის მიუხედავად ზოგიერთმა შემსრულებლებმა არ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია.

ინფორმაცია სამუშაოს იმ შემსრულებლების შესახებ რომელთაც არ წარმოდგენიათ ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოცემულია ცხრილი სახით:

N	ორგანიზაციის დასახელება	ხელშეკრულების №	ხელშეკრულების საგანი	ხელშეკრულების დადების თარიღი	ფაქტური შესრულება
1	შპს "სამკუთხედი"	277	გზების შეკეთება	06.09.2013	87275,4
		278	გზების შეკეთება	06.09.2013	14003
		279	გზების შეკეთება	06.09.2013	21029,7
		280	გზების შეკეთება	06.09.2013	19812,1
					142120,18
2	შპს "ბათვანი"	467	გზების რეაბილიტაცია	13.11.2013	80182
		479	გზების შეკეთება	21.11.2013	32100
					112282
3	შპს "სამშენებლო კომპანია გოლდი"	223	საბავშვო ბაღის შეკეთება	02.09.2013	52168
					52168

2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ბოლომდე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გამარტივებული წესით გაფორმებული აქვს 358 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 8723.5 ათასი ლარი. შესრულებულ სამუშაოებზე მუნიციპალიტეტის მიერ ანგარიშსწორება განხორციელებულია კანონდარღვევით¹³. აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით, მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმებით, ხელშეკრულებების იმ ნაწილში სადაც აუდიტის ჯგუფმა შეძლო მიმწოდებლის დანახარჯების დათვლა გამოვლინდა მნიშვნელოვანი სხვაობები შემსრულებლების ფაქტობრივ ხარჯსა და მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულ თანხებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს მაღალი რისკი იმისა რომ 2012 წლის 1-ლი ივლისის შემდგომ გამარტივებული წესით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების სრულყოფილად შესწავლის შემთხვევაში გამოვლენილ იქნას მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებზე

¹³ ანგარიშსწორება ნაწარმოებია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, წარმოდგენილი ფორმა №2-ის მონაცემებისა და ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

სხვა ზედმეტად ანაზღაურებული თანხები, შესაბამისად საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

სოციალური დახმარებები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების სახით 2012-2013 წლებში გახარჯულია 2198.4 ათასი ლარი¹⁴. სოციალური დახმარებების პროგრამები, მისი გაცემისა და მიღების წესი დამტკიცებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სოციალური პროგრამებით გახარჯული თანხების შემოწმებით, გამოვლენილია გარკვეული უზუსტობები და სისტემური ნაკლოვანებები, კერძოდ;

- 2013 წელს სოციალური პროგრამებიდან ნაშთის სახით მორჩენილია 41.3 ათასი ლარი. პროგრამებით გათვალისწინებული თანხების სწორად გადანაწილების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო აღნიშნული თანხის სხვა პროგრამებში გამოყენება. კერძოდ, უფასო სასადილოს მომსახურების 5 პრეტენდენტს უარი ეთქვა ბენეფიციარად აღრიცხვაზე პროგრამის დაფინანსების უკმარისობის გამო (1 ბენეფიციარზე გათვალისწინებულია დღიურად 1.68 ლარი).
- მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურს არ გააჩნია იმ პირთა ელექტრონული ბაზა რომელთაც გაეწია ერთჯერადი დახმარება. მისი მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა პირის იდენტიფიცირება, მრავალჯერ მომართვის შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მაღალია რისკი, რომ ერთჯერადი დახმარებები ბენეფიციარებზე წლის განმავლობაში გაიცეს მრავალჯერ.
- 2012 წელს მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა შეადგენდა 372.3 ათას ლარს, ხოლო 2013 წელს შემცირებულია 170.9 ათასი ლარით და შედგინა 201.4 ათასი ლარი.

¹⁴ 2012 წელს - 913.8 ათასი ლარი, 2013 წელს - 1284.6 ათასი ლარი.

საკრებულოს დეპუტატების ანაზღაურება

2012 წელს საკრებულოს დადგენილებით დამტკიცდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი¹⁵. აღნიშნული წესის მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობისათვის საკრებულოს წევრებისათვის ყოველთვიურად გათვალისწინებული იყო 200 ლარი, ხოლო საკრებულოს (საკრებულოს თავმჯდომარის) დავალებების შესრულებისათვის - 50 ლარი. 2012 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობისათვის საკრებულოს წევრებს ანაზღაურება განესაზღვრათ 500 ლარის ოდენობით. 2012-2013 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად, ხარჯის ანაზღაურების სახით, სულ მიღებული აქვთ 342.1 ათასი ლარი, მათ შორის, 68.4 ათასი ლარი დაკავებულია საშემოსავლო გადასახადის სახით.

აღსანიშნავია, რომ ხარჯის ასანაზღაურებლად გაცემულ თანხაზე საშემოსავლო გადასადის დარიცხვა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. შესაბამისად, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების თანხებზე დარიცხული საშემოსავლო გადასახადი - 68.4 ათასი ლარი, წარმოადგენს ზედმეტად გადახდილ თანხას.

მიუხედავად იმისა, რომ 2012-2013 წლებში გაწეულია 342.1 ათასი ლარის ხარჯი მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შესყიდვის პროცესის ნაკლოვანებები

- 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად (რვა შემთხვევაში), სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტებს შესრულებული სამუშაოს ღირებულების (საერთო ღირებულებით - 1548.1 ათასი ლარი) შესაბამისობის

¹⁵ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის (მუხლი 16, პუნქტი 3) საფუძველზე.

დასადასტურებლად უნდა დართვოდა ექსპერტიზის ბიუროს დასკვნები¹⁶. სამუშაოების დასრულებისას მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმებებით, ხელშეკრულებებიდან შესაბამისი დასაბუთების გარეშე ამოღებულია საექსპერტო დასკვნის წარდგენის ვალდებულება. მაგალითად, 2012 წლის 14 აგვისტოს შპს „ე.ე.ე.“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს უნდა დართვოდა საექსპერტო ბიუროს დასკვნა შესრულებული სამუშაოს ღირებულებაზე. შესრულებული სამუშაოს აქტი გაფორმებულია 2012 წლის 17 სექტემბერს, ხოლო 20 სექტემბერს ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით ამოღებულია საექსპერტო დასკვნის წარდგენის ვალდებულება.

- სამუშაოების შემსრულებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებებით, სამუშაოს დასრულების ვადა უამინდობის მოტივით გაგრძელებულია 2012 წელს - 10, ხოლო 2013 წელს - 44 შემთხვევაში. ხელშეკრულების დანართ შეთანხმებებში შესაბამისი დასაბუთების გარეშე (შემსრულებლების მიერ არ არის წარმოდგენილი უამინდობის დამადასტურებელი დოკუმენტები), მითითებულია ზოგადად ვადის გაგრძელება კონკრეტულ თარიღამდე. მიწოდების ვადის გაგრძელების მიზნით, მიმწოდებლების მიერ მოყვანილი გარემოებები, კერძოდ, სამუშაოების შესრულებისათვის შესაფერისი მეტეოროლოგიური პირობების არარსებობა, ვერ ჩაითვლება განსაკუთრებულ მოვლენად, რომლის გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეუძლებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს იმის რისკი, რომ შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია, რათა არ დაერიცხა პირგასამტეხლოს თანხა. სამუშაოებზე ვადის გაგრძელების ნაცვლად, პირგასამტეხლოს თანხის დარიცხვის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი სავარაუდოდ მიიღებდა 550.0 ათას ლარზე მეტ სარგებელს.

¹⁶ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

- 2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულებები 13 შემთხვევაში მოიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო მუხლებს. კერძოდ, ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლში მითითებულია, რომ სახელშეკრულებო ღირებულება მოიცავს სამუშაოს ექსპერტიზის ხარჯებს, ხოლო იმავე ხელშეკრულების მეორე მუხლი განმარტავს, რომ ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს შემსრულებელი.
- 2012-2013 წლებში პრეტენდენტის გამოცდილების დასადგენად, რიგ შემთხვევებში, მოთხოვნილია წინა წლებში შესრულებული ერთგვაროვანი სამუშაოს ჩამონათვალი, ღირებულების მითითების გარეშე. აგრეთვე, რიგ შემთხვევებში, მოთხოვნილია ანალოგიური სამუშაოების შესრულების დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება, პროფილის მიხედვით, რომელიც მრავალჯერ აღემატება შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულებას. მაგალითად, 2013 წელს ოზურგეთში (ანასეული) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერში, სავარაუდო ღირებულებით - 187.2 ათასი ლარი, პრეტენდენტისაგან მოთხოვნილია ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული არანაკლებ 2000.0 ათასი ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოები (გზის ახალი საფარის მოწყობა), მათ შორის - პროექტის სავარაუდო ღირებულებით განსაზღვრული ან მეტი მოცულობის ერთი სამუშაო მაინც.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებულ ტენდერებში მსგავსი პრაქტიკის შერჩევითი გამოყენება ქმნის საფუძვლიან ვარაუდს, რომ გამოცხადებული ტენდერების პირობები მორგებული იყო კონკრეტულ შემსრულებლებზე.

მაღალი ფასით შესყიდული საქონელი და მომსახურება

საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენების მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია საქონლის/მომსახურების შესყიდვის საწყის ეტაპზე ჩაატაროს ბაზრის კვლევა, რათა განსაზღვროს შესყიდვის ობიექტის შესაძლო რეალური საბაზრო ღირებულება და თავიდან აიცილოს საქონლის ან მომსახურების არაგონივრულად მაღალი ფასით შეძენა. აუდიტის ჯგუფის მიერ აუდიტის შედეგად

გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც შესასყიდი საქონლის/მომსახურების შეძენა სავარაუდოდ შესაძლებელი იყო ნაკლები დანახარჯებით. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვებისას, რიგ შემთხვევებში არასწორად არის გაანგარიშებული (გაზრდილი) სავარაუდო ღირებულებები.

1. გზების მოხრეშვითი სამუშაოები

2012 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე შპს „ე.ე.ე.“-ს მიერ შესრულებულია გზების სარეაბილიტაციო (მოხრეშვები) სამუშაოები. გზების მოსახრეშ მასალად გამოყენებულია ღორღი და ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებები (სულ 6 ხელშეკრულება) გაფორმებულია 2012 წლის აგვისტოში და ეხება ერთგვაროვანი სამუშაოების შესრულებას იდენტური მასალების გამოყენებით, მათი ფასები არაგონივრულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ იმავე პერიოდში შპს „ე.ე.ე.“-ის განკარგულებაში არსებულ კარიერში 1 კუბ.მ ფრაქციული ღორღის სარეალიზაციო ფასი შეადგენდა 10 ლარს, ხოლო ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის - 3 ლარს¹⁷.

- 2012 წელს მუნიციპალიტეტთან გაფორმებული №309 ხელშეკრულების ფარგლებში 1 კუბ.მ ფრაქციული ღორღის ღირებულება შესრულებული სამუშაოების აქტის მიხედვით შეადგენს 12 ლარს, სულ გამოყენებულია 2928 კუბ.მ მასალა. კონკრეტული სასაქონლო გზისა და სოფელ მერიის გზის რეაბილიტაციისას ჯამურად გამოყენებულია 574 კუბ.მ ღორღი. ორივე შემთხვევაში კუბ.მ-ის ღირებულებად გაწერილია 48 ლარი, ხოლო ნასაკირალის გზის შეკეთებისას ფორმა №2-ის მიხედვით გაიხარჯა 592 კუბ.მ მასალა, ერთეულის ფასი განისაზღვრა 32,6 ლარით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სარეალიზაციო ფასსა და

¹⁷ აღნიშნული ფასები დაფიქსირებულია შპს „ე.ე.ე.“-ს მიერ იმავე პერიოდში გამოწერილ სასაქონლო ზედდებულებებში.

მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულ თანხებს შორის სხვაობამ შეადგინა 35.1ათასი ლარი.

- მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი 2012 წლის დოკუმენტაციით გამოვლინდა, რომ სოფელ მელექედურში გზის ბეტონით მოწყობასა და ოზურგეთის სოფლებში გზების მოხრეშვის სამუშაოებზე ჯამურად გაიხარჯა 3917 კუბ.მ ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი, შესრულებული სამუშაოს აქტის მიხედვით ერთეულის ღირებულებად განისაზღვრა 3 ლარი. ნასაკირალის გზის რეაბილიტაციისას გამოყენებული იყო 1110 კუბ.მ მასალა, სადაც 1კუბ.მ-ის ფასი შეადგენდა 27.37 ლარს, ხოლო სოფელ მერიის გზის შეკეთებისას ფორმა №2-ის მიხედვით გაიხარჯა 592 კუბ.მ მასალა, ერთეულის ფასი განისაზღვრა 32,6 ლარით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სხვაობამ სარეალიზაციო ფასსა და ანაზღაურებულ თანხებს შორის შეადგინა 55.0 ათასი ლარი.

2. ასფალტბეტონის დაგების სამუშაოები

2013 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაკვეთით სხვადასხვა მომწოდებლების მიერ შესრულებულია საგზაო (ასფალტბეტონის დაგება) სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები მიმდინარეოდა პარალელურ რეჟიმში, ხოლო მასალის სახით გამოიყენებოდა იდენტური საქონელი, მათი ფასები, სამუშაოს შესრულების აქტებში დაფიქსირებულია განსხვავებული ღირებულებით, რაც ანაზღაურებულია მუნიციპალიტეტის მიერ. მასალებსა და სამუშაოებზე არსებული ფასთა სხვაობები წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი 2: წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონის დაგება, 4 სმ სისქის

შესრულებელი	ხელშეკრულების №	ხელშეკრულების დადების თარიღი	1 კვ.მ/4სმ
შპს „გზამშენი 18“	187	21.08.2013	16 ლარი
შპს „მარჯინი“	190	22.08.2013	12.8 ლარი
შპს „ბლექ სი გრუპი“	183	14.08.2013	12.6 ლარი

ცხრილი 3: თხევადი ბიტუმის ფასი

შემსრულებელი	ხელშეკრულების №	ხელშეკრულების დადების თარიღი	1 ტ. ბიტუმი
შპს „გზამშენი 18“	187	21.08.2013	1500 ლარი
შპს „მარჯინი“	190	22.08.2013	1000 ლარი
შპს „ბლექ სი გრუპი“	183	14.08.2013	1150 ლარი

3. შენობა-ნაგებობების გადახურვის მასალები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2012-2013 წლებში შესრულებულია საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოები. გადასახურ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა სახის მასალები. შემსრულებლების მიერ ერთსა და იმავე პერიოდში იდენტური მასალების ღირებულება დამკვეთისათვის წარდგენილია განსხვავებულად, კერძოდ, 1 კვ.მ მეტალოკრამიტის ფასი შესრულებული სამუშაოს აქტებში დაფიქსირებულია 15 ლარიდან 21 ლარამდე, 1 ცალი შიფერის ფასი, რომელიც ძირითადად გამოყენებულია სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გადასაცემად, შეადგენს 15 ლარიდან 20 ლარამდე. შემსრულებლების მიერ მოწოდებულ მასალებზე გადახდილი ფასები წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი 4: მეტალოკრამიტის ფასები

(2012 წელი)

შემსრულებელი	ხელშეკრულების №	ხელშეკრულების დადების თარიღი	1 კვ.მ
შპს „სამშენებლო კომპანია ბათუმი“	108	04.06.2012	15.3 ლარი
შპს „ოქტან-მედეა“	293	09.08.2012	21.4 ლარი

ცხრილი 6: შიფერის ფასები

(2013 წელი)

შემსრულებელი	ხელშეკრულების №	ხელშეკრულების დადების თარიღი	1 ცალი
შპს „პრემიერი“	73	11.04.2013	15.0 ლარი
ი/მ „მაია სპარსელაშვილი“	58	01.04.2013	18.0 ლარი
ი/მ „კახა კანდელაკი“	67	05.04.2013	20.0 ლარი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა ფასებს შორის არსებული განსხვავებების დასაბუთება. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული ერთეულის ფასები არ ეფუძნებოდეს გონივრულ გათვლებს.

ზედმეტად გადახდილი თანხები

2013 წლის 7 ნოემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „მშვიდობას“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითში ხიდის მშენებლობა/რეაბილიტაციაზე, ღირებულებით 95.3 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზის ხარჯები უნდა აენაზღაურებინა შემსრულებელს (შპს „მშვიდობა“), ხოლო სამუშაოს შესრულების აქტის (ფორმა №2) მიხედვით, ექსპერტიზის ხარჯი - 2.0 ათასი ლარი გადახდილია მუნიციპალიტეტის მიერ.

აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტი

მუნიციპალიტეტში აუდიტორული ფირმების¹⁸ მიერ ჩატარებულია 2012-2013 წლების „წლიური ბიუჯეტის შესრულების ანალიზი და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება“. აუდიტორულ ფირმებზე ანაზღაურების სახით გადახდილია - 6.6 ათასი ლარი. აუდიტორული ფირმებს გაცემული აქვთ დადებითი დასკვნები.

აუდიტის ანგარიშები ძირითადად მოიცავს წლიური ბიუჯეტების სტატისტიკურ მიმოხილვას, იმის მითითების გარეშე, რამდენად აკმაყოფილებს წლიური ბიუჯეტი საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებს, სათანადოდ არის თუ არა კლასიფიცირებული შემოსავლები და ხარჯები, რამდენად შეესაბამება ბიუჯეტში ასახული მონაცემები რეალურ მაჩვენებლებს.

¹⁸ 2012 წელს - ინდივიდუალური აუდიტორი თამაზ ბუკია, 2013 წელს - აუდიტორი ფირმა შპს „აუდიტ-ეკონომიქსი“.

მუნიციპალიტეტის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ჩატარებული აუდიტის დასკვნები ეხება ნაწილობრივ და მითითებულია, რომ მნიშვნელოვანი სახის გადაცდომები გამოვლენილი არ არის.

თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული იმავე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტით გამოვლენილია მუნიციპალიტეტის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის რიგი უზუსტობები და ნაკლოვანებები, რაც დაფიქსირებულია ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

შსს-ს ადგილობრივ ორგანოებზე გაწეული ხარჯი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წელს პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაზე გაცემულია 70.0 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულია სხვადასხვა ხარჯი, კერძოდ, კომუნალური ხარჯი - 66.3 ათასი ლარი, საწვავის ხარჯი - 3.7 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ იმ პირობებში, როდესაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტი საკუთარი შემოსავლების სიმცირის გამო გათანაბრებითი ტრანსფერის სახით ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზანშეწონილი არ არის პოლიციის ადგილობრივი განყოფილების ხარჯების გაწევა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ხარჯების გაწევა სახელმწიფო ბიუჯეტის პრეროგატივაა.

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

2012-2013 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „დაუ“-სთან, საერთო ღირებულებით 9.6 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა საბიუჯეტო საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვას. აღსანიშნავია, რომ იმ პირობებში, როდესაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურში დასაქმებულია 12 თანამშრომელი, რომელთა უფლება-მოვალეობაა

საბიუჯეტო კანონმდებლობის ცოდნა და პრაქტიკაში განხორციელება, მიზანშეწონილი არ არის ანალოგიურ საკითხებზე კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა და ხარჯის გაწევა.

შპს „ოქტან-მედეა“ (დაბა ურეკის ბულვარის მშენებლობა)

2012 წელს მუნიციპალიტეტთან გაფორმებული №133 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ოქტან-მედეამ“ შეასრულა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში, სანაპირო ზოლზე ბულვარის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 499.7 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების დიდი ნაწილი შემსრულებლის მიერ შეცვლილია ხარჯთაღრიცხვის შესაბამისი კორექტირების გარეშე, როგორც სამუშაოს სახეობები, ასევე ღირებულებები. შედეგად, ხარჯთაღრიცხვისა და შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა№2) მონაცემები მნიშვნელოვანი განსხვავებებით არის წარმოდგენილი.

ასფალტბეტონის მეორეული მასალის გამოყენებლობა

2012 წლის 31 მაისის №101 ხელშეკრულებით შპს „გზამშენი 18“-ს შესრულებული აქვს ოზურგეთში ქუჩებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია. სამუშაოების შესრულებისას, ქალაქის ქუჩებიდან და ტროტუარებიდან აღებულია ძველი ასფალტბეტონის საფარი - 674 კუბ.მ, რაც შედგენილი ფორმა №2-ის მიხედვით, შემსრულებლის მიერ გატანილია „ნაყარში“. აღებული ასფალტბეტონის ტრანსპორტირებისათვის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულია 9.6 ათასი ლარის ხარჯი.

აღსანიშნავია, რომ ასფალტბეტონის ძველი საფარის გამოყენება შესაძლებელია მოხრეშვითი სამუშაოების ან გზების ასფალტირებისას ქვესაგებ ფენად. ანალოგიური მასალა ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 2012-2013 წლებში გამოყენებული აქვს სოფელ

კონკრეტში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე¹⁹ და 2013 წელს - დაბა ნასაკირალში გზების აღდგენით სამუშაოებზე²⁰.

საწარმოების სუბსიდიით დაფინანსება

2012-2013 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში იმყოფებოდა 5 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) და 26 არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირი (ა(ა)იპ), რომელთაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიური დაფინანსების სახით მიღებული აქვთ 10422.321 ათასი ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის 26%-ს შეადგენს. მიღებული სუბსიდიების მეტი წილი (73%) გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე.

➤ მუნიციპალიტეტის შპს-ების დაფინანსება

მუნიციპალიტეტის შპს-ები შემოსავლებს იღებენ როგორც თვითმმართველობის დაკვეთით შესრულებული სამუშაოებიდან და მომსახურებიდან, ასევე სხვა კერძო სუბიექტებთან გაფორმებული გარიგებებიდან. მიუხედავად აღნიშნულისა, მათ მიერ ფინანსური წელი დასრულებულია ზარალით ან უმნიშვნელო მოგებით (200 ლარამდე). მუნიციპალიტეტის მხრიდან არ არის შემუშავებული კონტროლის მექანიზმები, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ შპს-ები მუნიციპალიტეტში არ წარადგენენ წლიურ ანგარიშებს, შესაბამისად, არც მუნიციპალიტეტი ახორციელებს შპს-ების წლიური შედეგების განხილვას, ანალიზსა და მათი საქმიანობის შეფასებას.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012-2013 წლებში შპს-ებს მუნიციპალიტეტისათვის არ წარუდგენიათ გრძელვადიანი განვითარების ბიზნეს-გეგმები და წლიური ფინანსური შედეგების საპროგნოზო მაჩვენებლები. მუნიციპალიტეტის მხრიდან ზემოაღნიშნული მიდგომა ხელს ვერ შეუწყობს შპს-ების განვითარებას, ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას და მისაღები დივიდენდების ზრდას.

¹⁹ 2012 წლის 23 აგვისტოს (უნომრო ხელშეკრულება), შემსრულებელი შპს „ე.ე.ე.“.

²⁰ 2013 წლის 18 ოქტომბრის №428 ხელშეკრულება, შემსრულებელი შპს „უნივერსალი“.

²¹ 2012 წელს - 5160.2 ათასი ლარი, 2013 წელს - 5262.1 ათასი ლარი.

➤ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების დაფინანსება

სპორტის, განათლების, კულტურისა და მომსახურების სფეროების ა(ა)იპ-ებს სუბსიდიის მისაღებად წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტში წარდგენილი აქვთ მოთხოვნები, რომლებშიც ძირითადად მითითებულია დაწესებულების შენახვის ხარჯები (შრომის ანაზღაურების, საქონელი და მომსახურების ხარჯები), კონკრეტული მიზნებისა და გეგმების გარეშე. უმეტეს შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდია გაცემულია ისე, რომ არ არის გაანგარიშებული კონკრეტულ საქმეზე, რომელ პერიოდში, რა რაოდენობის თანხა უნდა გაიხარჯოს, არ არის შედგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ასევე არ არის გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი და კონტროლი მათ შესრულებაზე.

სუბსიდია წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სუბსიდიის დამტკიცებისას გაანგარიშებული უნდა ყოფილიყო მისი ოდენობა შესასრულებელი სამუშაოებისა და საქმიანობის გათვალისწინებით.

საკადრო პოლიტიკა

2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაქმებული იყო 336 პირი, მათ შორის, 75 შტატგარეშე. აღსანიშნავია, რომ 2012 წელთან შედარებით, 2013 წელს თვითმმართველობაში შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა გაიზარდა 33 ერთეულით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის²² თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. ფაქტობრივად კი, წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ მათი აყვანა ხდება მთელი წლის განმავლობაში მუდმივი ამოცანების შესასრულებლად,

²² „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

კერძოდ, სპეციალისტისა და მთავარი სპეციალისტის უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად.

2012 წლის აპრილში, „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან თანამდებობრივი სარგოს სახით როგორც „მე-13 თვის ხელფასი“, გაცემულია 74.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების სახით „მე-13 თვის ხელფასის“ გაცემას. შესაბამისად, გაცემული თანხა უნდა აღრიცხულიყო „პრემიის“ მუხლში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს შტატგარეშე თანამშრომლებზე „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან, პრემიის სახით გაცემულია 7.2 ათასი ლარი. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, „შრომის ანაზღაურების“ მუხლი არ ითვალისწინებს კონტრაქტორებისათვის გადახდილ თანხებს, რომლებიც დაწესებულების საშტატო რიცხოვნობაში არ შედიან. შესაბამისად, ნებისმიერი ამგვარი გადახდა უნდა ასახულიყო „საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

ა(ა)იპ - „მომავლის სხივის“ დაფინანსება

2012-2013 წლებში „სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის თანადაფინანსების“ პროგრამით გახარჯულია 72.0 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა, ა(ა)იპ - „მომავლის სხივში“ მყოფი უკიდურესად შეჭირვებული ბავშვების ორჯერადი კვებით უზრუნველყოფას. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მუნიციპალიტეტის მიერ ფაქტობრივად დაფინანსებულია, „მომავლის სხივის“ თანამშრომლების შრომის ანაზღაურება და სხვა ხარჯები.

საწვავის ხარჯი

2012-2013 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამსახურების მიერ გახარჯულია 272.1 ათასი ლარის საავტომობილო საწვავი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მომსახურე ავტომანქანების მძღოლებზე გაცემულია საწვავის ტალონები, რომელთა ხარჯებში ჩამოწერა საფინანსო

სამსახურის მიერ განხორციელებულია მატერიალური მარაგების ჩამოწერის აქტის საფუძველზე. ავტომატური მძღოლების მიერ არ არის შედგენილი მოხსენებითი ბარათები, სადაც დადასტურებულია მიღებული საწვავის ხარჯვა, მოძრაობის მარშრუტისა და შესრულებული დავალებების მიხედვით.

გარდა მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი ავტომატური მძღოლებისა, საწვავი აგრეთვე გაცემულია მუნიციპალიტეტის თანამშრომლების პირად ავტომატურებზე გამოსაყენებლად. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლის 19 ივნისამდე²³ თანამშრომლების კერძო ავტომატურებზე გაცემულია 24.4 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. აღსანიშნავია, რომ კერძო ავტომატურებზე საწვავის სახით გაცემული სარგებელი არ არის დაბეგრული კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადით.

ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენა

2013 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილია ავტო-გრეიდერი, ღირებულებით - 145.0 ათასი ლარი, რომელიც გადაეცა მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებულ შპს „ტექნოსერვისს“. აღსანიშნავია, რომ ავტო-გრეიდერის შეძენამდე, იმ საამშენებლო სამუშაოებს რომლებიც საჭიროებდა ავტო-გრეიდერის მომსახურებას, ხელშეკრულების საფუძველზე, საბაზრო ღირებულებით ასრულებდნენ სხვადასხვა შემსრულებლები, შეძენის შემდეგ კი შპს „ტექნოსერვისი“, როგორც მეწარმე იურიდიული პირი, მუნიციპალიტეტს მომსახურებას უწევს ასევე საბაზრო ღირებულებით. შედეგად მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული ავტო-გრეიდერის შეძენის აუცილებლობა.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012-

²³ 2012 წლის 19 ივნისიდან გათავისუფლებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის პ1 ქვეპუნქტით.

2013 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:

ბადრი ჯანჯღავა



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

ლელა მიქაძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

ასმათ ლილუაშვილი



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

სოფიო ბელთაძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი